სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ „სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სპეციალური პირობებში“ (შემდგომში „სპეციალური პირობები“) შემდეგი ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანას:

1. <u>სპეციალური პირობების მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

4. დასკვნითი დებულებები

4.1. თავდებობა ძალაში შედის თავდებობის ხელშეკრულების (ძირითადი პირობები) ხელმოწერის მომენტიდან;

4.2. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.

4.3. მხარეთა შორის კომუნიკაცია რეგულირდება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

4.4. მხარეები თანხმებიან, რომ ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვს მტკიცებულებითი ძალა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

4.5. თავდებს არ აქვს უფლება, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს მასზე სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მისთვის მინიჭებული უფლება.

4.6. ბანკს უფლება აქვს, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მინიჭებული ნებისმიერი უფლება.

4.7. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა და სამართალმემკვიდრეებისთვის.

4.8. მხარეები ადასტურებენ, რომ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

4.9. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, გარდა სპეციალურ პირობებში განთავსებული პირობის ცვლილების ან/და ამავე პირობებში შესატანი დამატებ(ებ)ისა, რომელიც შეიცვლება ბანკის მიერ ცალმხრივად, გამოქვეყნდება წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი წესით და ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.10. თუ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.

4.11. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას.

4.12. ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: 0114 თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge).

2. <u>გაუქმდეს სპეციალური პირობების მე-5 მუხლი.</u>